პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 12 (19154) სამშაბათი, 15 იანვარი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა საზოგადოების IX ყრილობას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მოესალმება იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა საზოგადოების წევრთა 100-ათასიან კოლექტივს, მასწავლებლებს, მშობლებსა და ფართო საზოგადოებრივობის წარმომადგენლებს, ყველას, ვინც კეთილსინდისიერად ემსახურება მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

საქართველოს პედაგოგთა საზოგადოების IX ყრილობა იმართება იმ პერიოდში, როცა საბჭოთა ადამიანები ახორციელებენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრანდიოზულ გეგმებს, უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ემზადებიან სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსულაში ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებსა და მითითებებს, საბჭოთა პედაგოგებიც წარმატებით ასრულებენ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებით მთელი საგანმანათლებლო სისტემის წინაშე დასახულ დიდ სახელმწიფოებრივ ამოცანებს.

რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებამ ზუსტად განსაზღვრა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების როლი და ადგილი რეფორმის განხორციელებაში, ეონკრეტული ამოცანები დაუსახა სახალხო განათლების ორგანოებს. ბევრი რამ უკვე გაკეთდა. საქართველოს სკოლები მთლიანად გადავიდნენ ბავშვების სწავლებაზე ექვსი წლის ასაკიდან, მტკიცდება სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სულ უფრო იხვეწება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, მოსწავლეთა პროფესიული მომზადება, სწავლების ფორმები და მეთოდები.

მაგრამ სასკოლო რეფორმის პრაქტიკული რეალიზაცია სახვის სულ უფრო რთულ ამოცანებს მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების, იდეიურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის, ნაყოფიერ შრომაში მათი ჩართვის [illegible] რაციონალური გზების ძიებით სჭიდავს. პედაგოგთა საზოგადოების საქმიანობა მთლიანად უნდა ექვემდებარებოდეს ამ მიზნებს, ამ ამოცანებს.

ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას უშინაარეს ყოველისა უზრუნველყოფს სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ერთობლივი შეთანხმებული მუშაობა. პედაგოგთა საზოგადოებამ რესპუბლიკის რაიონებში შექმნილ მშობელთა საზოგადოებებთან ერთად ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი ამ მუშაობის გაუმჯობესებას, ბავშვის აღზრდისათვის მშობელთა პასუხისმგებლობის გადიდებას, მშობელთა პედაგოგიკურ განათლებას.

რესპუბლიკის პედაგოგთა საზოგადოება მოწოდებულია უფრო აქტიურად შეუწყოს ხელი მასწავლებელთა კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის გაუმჯობესებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, მოწინავე ფორმებისა და მეთოდების დანერგვას. საჭიროა გაძლიერდეს საზოგადოების გავლენა სწავლებისა და აღზრდის მთელი პროცესის სრულყოფაზე, იგი უნდა ასრულებდეს კოლექტიური ექსპერტის როლს სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკურ ლიტერატურის მომზადებისას.

პედაგოგის მორალური სახე, მისი პოლიტიკური სიმწიფე საზოგადოების ყოველდღიური ზრუნვის საგანია. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ მასწავლებლის, ოსტატის, აღმზრდელისადმი პრინციპული, მომთხოვნი დამოკიდებულება უნდა ეხამებოდეს ასეთივე პრინციპულ ზრუნვას მათთვის, მათი ინტერესების დაცვას ამ სიტყვის უფართოესი გაგებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ საბჭოთა საქართველოს პედაგოგები ყველანი არ დაიშურებენ ენერგიას, ცოდნას, გამოცდილებასა და ენერგიას, რათა აღზარდონ ღირსეული, ყველაფერი ერის შრომისათვის მომზადებული ახალგაზრდები, მაღალი სულიერი ღირებულებებს მკერდ ადამიანები, მტკიცე პატრიოტები და ინტერნაციონალისტები!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს პედაგოგთა საზოგადოების IX ყრილობა

საზოგადო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება, პედაგოგიური შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სრულყოფა, მასწავლებელთა მოწინავე გამოცდილების განზოგადება და გავრცელება, მშობელთა შორის პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდა — ასეთია საქართველოს სსრ იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა საზოგადოების საქმიანობის ძირითადი. მიმართულებანი, რომელიც 113 ათას წევრს აერთიანებს.

რესპუბლიკაში სასკოლო რეფორმის ძირითად მიმართულებათა რეალიზაციისათვის საზოგადოების ამოცანები განიხილა თბილისში გამართულმა საქართველოს პედაგოგთა საზოგადოების IX ყრილობამ.

ყრილობის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგის ა. საყვარელიძის წაყაიეთხა ყრილობისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება.

საქართველოს პედაგოგთა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა მისმა თავმჯდომარემ, სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა დ. ლორთქიფანიძემ.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია.

(საქინფორმი).

№ 12 (19154) სამშაბათი, 15 იანვარი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

ეროვნებათა მხარდამხარ



საჯარიო კერძოობა „საქალაქო-ოჯახი“ „მეოთხე ქარხნის „მიკროძრავის“ მშრომელები ახალი შრომითი ინიციატივებით შეუდგნენ მეოთხეთვის ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახელმწიფო გეგმა-ვალდებულებების შესრულებას. აქ განმტკიცებენ შარშან მოპოვებულ წარმატებებს.

სურათზე: № 6 საამწყობო სამაჯრის დამკომპლექტებელი მ. ხუხაშვილი და უფროსი ოსტატი ი. თეთრაძე.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ვადამდე. არჩევნების დღისათვის...

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების აღსანიშნავად დამკვრელურ ვიბტზე დგებიან ახალი შრომითი კოლექტივები. მრავალმა მოწინავემ წამოაყენა ყურადღებები წინადადებაც, რომელთა მიზანია საჯარიო დავალებათა შესრულება.

პირველი, რომელმაც ჭერ კიდევ 1969 წელს თბილისის სამაგვიო ტრიკოტაჟის ფაბრიკაში კომუნისტური შრომის დამკვრელს წოდება მოიპოვა, იყო გამომჭრელი გ. დორეული. მას შემდეგ იგი ამ საპატიო წოდებას ატარებს, ხოლო მის სამუშაო ადგილ ვიმპელი ამშვენებს. თავისი მუშაობის გამოცდილება მან ამ ორმოცდაათზე მეტ ახალგაზრდა გამომჭრელს გადასცა, რომლებიც საწარმოში საშუალო სკოლებისა და პროფტექსსწავლებლების დამთავრების შემდეგ მოვიდნენ, გ. დორეული ზედიზედ ოთხჯერ აირჩიეს ქ. თბილისის კიროვის სახელობ დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატად.

დადგა რა არჩევნების აღსანიშნავ შრომითის ვახტზე, გ. დორეულმა ვალდებულება იკისრა პირველი „ვარტალის გეგმა შეასრულოს 24 თებერვლისათვის; გეგმის გადამეტებით გამოუშვა 5300 ნახევარფაბრიკატი, დაზოგოს 17 კილოგრამი ნედლეული და მასალები, ერთნახევარი პროცენტით გაადიდოს შრომის ნაყოფიერება.

თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანში“ ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ორი თვის გეგმის არჩევნების დღის — 24 თებერვლისათვის შესასრულებლად.

შრომების ვეტერანი მკერავი ე. სიფრანშვილი ერთერთ პირველი ჩაება შეჯიბრებაში, გადასინჯა კვარტალის დავალებები და პირობა დადო, რომ ორი თვის გეგმას ანვარში შესასრულებს. პროდუქცია მალალად მაღალხარისხოვანი იქნება.

ე. სიფრანშვილმა ვალდებულება იკისრა წელიწადში ოთხ დღეს იმუშაოს დაზოგილი მასალებით.

ზარშანდელზე უკეთ

ზეგართებით ირკვევიან ზუგდიდის რაიონის მეცხოველეები ახალი წლის პირველი დეკადებიდანვე ამისათვის, რომ ამრავლონ შარშანდელი წარმატებები, ღირსეულად შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ორულის კომპლექსის ფერმის მუშაკებმა 400 კილოგრამით მეტი რძე მიპყიდეს სახელმწიფოს. წელადობის 1984 წლის დონეს 130 კილოგრამით გადაამტეს ჯიხაჩარის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა. წლეულს მეცხოველეობაში კარგი მაჩვენებლები აქვთ ბერეთეგე შამგონის და ნარაზენის კოლმეურნეობათა მშრომელებს. სულ რაიონში ახალი წლის პირველ დეკადაში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფოს 16. ცენტნერით მეტი რძე მიეყიდა.

თერჯოლელთა ვენახებში

თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მევენახეები რომლებიც ჩაბმულნი არიან სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისა და გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ენერგიულად შრომობენ ზვრებში მიწის დამუშავებასა და ახალი ვენახების გაშენებაზე.

ეწრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეებმა დეკემბერში გადაჭარბებით შესასრულეს წინა წლის ვენახების გაშენების დავალება და ნაცვლად 10 ჰექტარისა, ახალი ვენახები 12,5 ჰექტარზე გააშენეს.

ზამთრის დარიან დღეებს ადრგად იყენებენ რაიონის მეზვერეები, ნიადაგს ამზადებენ ახალი ვენახების გასაშენებლად.

სავენახე მიწების მომზადება წარმატებით მიმდინარეობს რუფოთისა და თერჯოლის საბჭოთა მეურნეობების, სიქთარეთ და საზანოს 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობებში. ამასთან ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ყურძნის უზე მოსავალს მტკიცე საფუძველს უყრიან რაიონის მევენახეები.

რაიონში ახალი ვენახები გაშენდება 120 ჰექტარზე. ეს სამუშაო აგროვადებში დამთავრდება.

ქალაქის მშრომელთა 1985 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

ქალაქ ქუთაისის მშრომელებმა დიდ ბანაკულო ომში საბჭოთა ხალხის ვანარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად და სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის იკისრეს 1985 წლის შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი:

უპირატესი ტემპით განვითარონ მანქანათმშენებლობისა და ელექტრგანმშენებლობისა, ქიმიურგანმშენებლობისა, ტრანსპორტისა, ინფორმაციული ტექნიკისა, ელექტრონიკისა, ავტომატიზაციისა, ელექტროტექნიკისა, ელექტრონული ინდუსტრიისა, ენერგეტიკისა, ელექტროენერგეტიკისა, ელექტრული ტექნიკისა, ელექტრული ნაწილების, ელექტრონული ტექნიკისა, ელექტრული ტექნიკისა, ელექტრული ტექნიკისა, ელექტრ

ა. ა. გრომიკოს საუბარი პოლიტიკურ მიმოხილვებთან

18 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვდა პოლიტიკურ მიმოხილველთა ჯგუფს და პასუხი გასცა მათ შეკითხვებს.

საუბარში, რომელიც ტელევიზიით გადაიცა, მონაწილეობდნენ პოლიტიკური მიმოხილველები: „ბუნდოვანი“ — ი. უუკოვი, „ბუნდ „იზვესტიისა“ — ვ. მატვეევი, საკავშირო — ვ. ბოგატიროვი, ცენტრალური ტელევიზიისა და რადიოსა — ვ. ზოორინი.

ა. ა. გრომიკო: მინდა უწინარეს ყოვლისა მოგესალმოთ. ალბათ ბევრი კითხვა გაქვთ, ნუ მოგერიდებთან, მკითხეთ. შეეცდები პასუხი გაგცეთ.

კითხვა: ანდრეა ანდრიას ძეს, თქვენმა შეხვედრამ ენენგაში საჭელმწიფო მდივანთან შოლცთან დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენს ქვეყანაშიც და მთელ მსოფლიოშიც. საერთოდ როგორ შეფასებას მისცემთ ამ შეხვედრის შედეგებს?

პასუხი: საერთოდ შეხვედრის შედეგებს დადებითად ეფასებთ. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი განხილვება, მართლაც, თავისთავად მეტყველებს. ჩვენ შეეთანხმდით მომავალი მოლაპარაკების საგანზე და მიზნებზე, რომლებსაც უნდა მივაღწიოთ მოლაპარაკების შედეგად. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია.

კითხვა: თქვენ ბრძანეთ, რომ ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების საკითხები მომავალ მოლაპარაკებაზე განხილული იქნება კომპლექსურად, ანუ ერთიერთკავშირით. ეს სრულიად ახალი მიდგომაა. რით არის ეს გამოწვეული?

პასუხი: ეს გამოწვეულია იმით, რომ, თუ ვეცდილობთ გამალებულ შეიარაღების შეწყვეტას, ამას, რომ ალმოიფხვრას ომის საფრთხე, ერთი სტუკვთო, თუ ვეცდილობთ მივაღწიოთ მტკიცე მშვიდობას, აუცილებელია, რომ მომავლეული შეიარაღება არ დაიწყოს კოსმოსში და შეწყდეს დედამიწაზე. ეი მთავარი ამოცანა, რომელიც ოდგა ენენგის შეხვედრის მონაწილეთა წინაშე.

ძალიან ცდილობდა ამერიკის ადმინისტრაცია, რომ არ დაეშვა კოსმოსური სივრცის საკითხთა განხილვა, სამეგ ისე წარემართა, რომ კოსმოსის სფერო ღია ყოფილიყო გამალებული შეიარაღებისათვის. ეს პოზიცია სრულიად მიუღებელია. ეს არაერთხელ გვითქვამს, მათ შორის ენენგის შეხვედრის წინაც. ადვილად როდი მოხერხდა ამ შეხვედრის პირობების შეთანხმება. მაგრამ საბოლოოდ დავთქვით, რომ ეს საკითხი შეიძლება და კიდეც უნდა განვიხილოთ. ერთობლივ განცხადებაში, როგორც მოგეხსენებათ, კოსმოსური სივრცე ასევე ფიგურირებს, ანუ გიგიძვეა იმ თვალსაზრისმა, რომ შეუძლებელია როგორც სტრატეგიული შეიარაღების საკითხის, ისე საშეალო სიშორის ბირთვული იარაღ საკითხის განხილვა კოსმოსის შესახებ საკითხის განუხილველად. უფრო ზუსტად, კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების საკითხის განუხილველად. ამერიკის მხრივ, ბოლოს და ბოლოს, გაიზიარა ეს თვალსაზრისი. ეს დადებითი ფაქტია. აქ უნდა მოგახსენოთ, რომ ენენგიდან ჩემი დაბრუნების შემდეგ და, შესაბამისად ვაშინგტონში სახელმწიფო მდივან შულცის დაბრუნების შემდეგ, მან გამომგზავნა წერილი, რომელშიც მწერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხედველობაში აქვს შესარულოს ის, რის შესახებაც მიგაღწიეთ მორიგებას ენენგაში, რომ იმ ვალდებულებებს, რომლებიც ამ მორიგების შესაბამისად ვიკისრეთ, იგი სერიოზულად ეკიდება. ეს დადებითი მაჩვენებელია. მაგრამ, რომ იტყვიან, დრო გვიჩვენებს.

კითხვა: ყველაფრიდან ჩანს, რომ კოსმოსური შეიარაღების საკითხებს საკვანძო მნიშვნელობა ექნება მოლაპარაკების წინსვლისათვის. რით განსხვავდება ამ საკითხებისაგან საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომა?

პასუხი: სწორედ იმით, რომ — ყოველ შემთხვევაში ეს გარკვეით გამოითქვა ენენგის შეხვედრამდე — ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდა გვერდი აეკარა კოსმოსის საკითხისათვის და განეხილა მხოლოდ იმ საჭიროთა შეიარაღება, რომელთა გამო უკვე იყო მოლაპარაკები: ევროპაში სტრატეგიული შეიარაღებისა და საშეალო სიშორის ბირთვული შეიარაღების შესახებ. ეს არის საქმე.

საბჭოთა კავშირი კატეგორიულად, უარყოფდა ასეთ თვალსაზრისს. მას მიაჩნდა და მიაჩნია, რომ შეუძლებელია გვერდი აუარაო კოსმოსური სივრცის საკითხს. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება თეორიულად წარმოვიგენოთ ასეთი მდგომარეობა: ევროპაში მივაღწიეთ წარმატებას სტრატეგიული შეიარაღების საკითხებში და საშეალო სიშორის ბირთვული იარაღის საკითხებში. კოსმოსურ სივრცეში კი მიმდინარეობს გამალებული შეიარაღება. და იგი სულ უფრო მეტად ივსება შესაბამისი იარაღით. ეს არა მარტო გააკარწყლებს, არამედ ხაზს გადაუსვამს კიდეც იმას, რაც გაკეთდა ედედამიწაზე. ამის შედეგად ბალანსი უარყოფილი იქნება შვიდობისათვის, მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება და უფრო საშიში გახდება. ეს სრულიად გულსაფდილად ეუთხარით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, მის მოკავშირეებს, მთელ მსოფლიოს, ეს ვიკმეთ ენენგაზეც, თანაც, ვთქვით შტიკეეტ, და მე მზად ვარ ვიხმარო ასეთი სიტყვა — მკაცრად.

ჩვენ გვინდა, რომ ეს შეიგნონ ამერიკის ადმინისტრაციამ და იმათ, ვინც ხმარს უკეთდა და უკეთეს მის თვალსაზრისს კოსმოსური სივრცის საკითხებში. დასკვნა, რომელიც გამოიტანეთ — ჩვენ იგი ენენგაშიც გავიმეორეთ — ასეთია: შეუძლებელია ნაყოფიერად განხილული სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების საკითხები და საშეალო სიშორის ბირთვული იარაღის საკითხები კოსმოსის, კოსმოსური სივრცის საკითხების განუხილველად.

კითხვა: კონკრეტულად რა გაქვთ მხედველობაში, როცა საბჭოთა კავშირი გადაჭრით ეუბნებოდ, ამ საკითხებს ცალ-ცალკე ან ერთ-ერთ-ერთ-

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიაში

14 იანვარს თბილისში, შრომის სასახლეში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გ. ს. გაჩECHილაძე.

ცნობად იქნა მიღებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის ქ. კ. შარტავას ინფორმაციები საოლქო და საუბნო კომისიების შექმნის შედეგებისა და მათი თვისებრივი შემადგენლობის შესახებ და საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებისა და მოწყობისათვის საუბნო საარჩევნო კომისიების შუმაბინ თათბიჭი.

კომისიამ მოისმინა ინფორმაციები — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის ი. ბ. გამრეკელისა — ამომრჩეველთა კულტურული მომსახურების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ და ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის ლ. გ. ვარდოსანიძისა — საარჩევნო მასალების გადაზიდვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა და საარჩევნო უბნების შექმნისა და იმ ამომრჩეველთა ხმის მიცემის წესის შესახებ, რომლებიც არჩევნების დღეს გზაში იქნებიან რკინიგზის ტრანსპორტით.

იმის შესახებ, თუ რა კეთდება რესპუბლიკაში არჩევნების მომზადებისა და მოწყობის პერიოდში მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის, ილაპარაკეს საქართველოს სსრ კანმოსავლობის დაცვის მინისტრმა გ. გ. ლეჟავამ, რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა ბ. ზ. ბაყაშვილმა, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრმა ნ. ნ. ნიფიდოვმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა მ. მ. ქაჯაიამ, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ კ. ნ. შავიშვილმა, გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. გ. ბაკურაძემ, საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. თ. ლობჟანიძემ.

სამტრედიისა და გეგეჭკორის რაიონებში არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციები გააკეთეს სამტრედიისა და გეგეჭკორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა ლ. დ. ჩხეიძემ და კ. თ. ასათიანმა.

კასპის რაიონის № 106 ოკამის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ რ. ა. სიდამონიძემ, სიღნაღის რაიონის № 205 სიღნაღის საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვ. ი. ნადირაშვილმა და ხაშურის რაიონის № 126 რუსთაველის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გ. გ. სტეფანშვილმა ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან ამ საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

სხდომაზე გამოვიდა ქ. კ. შარტავა, რომელმაც გააშუქა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების მიმდინარეობა. აღინიშნა, რომ არჩევნებისათვის მზადება რესპუბლიკაში მიმდინარეობს ორგანიზებულად, მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ვითარებაში სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, დიადი გამარჯვების 40 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ნიშნით. ყველგან გრძელდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება, იმართება საოლქო საარჩევნო თათბიჭები, რომლებიც მკაფიოდ აელენენ სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვებას კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ურღვევ ერთიანობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატებად ერთსულოვნად დასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ვ. რომანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატთა შორის არიან შუბითა კლასის, კოლმეურნე ბელეზობის, სახალხო ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები.

სხდომაზე გამოვიდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ზ. ა. ყავაჯიძე, კომისიის წევრები ნ. ვ. გუროგანიძე, ნ. ა. მერკუშევი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაშვილი.

1985
24
თებერვალი
საბჭოების არჩევნების დღეა

დიდი ნდობა

(დასასრული)

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ხერგი ტარასის ძე რიგავა** — № 154 წყალის საარჩევნო ოლქში; წულუკიძის აბრეშუმსახვევ-საგრეხი ფაბრიკის შუშა **ფირუზა ვალერიანის ასული ჩხვეველი** — № 289 წულუკიძის საქალაქო საარჩევნო ოლქში; საქართველოს სსრ სახელმწიფო უმიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვლადიმერ გიორგის ძე კაზენინი** — ზესაქალ თბილისის ლენინის რაიონის № 5 ლენინის საარჩევნო ოლქში; ერუშის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწყალავი **ეფერ ომედის ასული ჩაკალური** — თიანეთის რაიონის № 191 ხევსურთსოფლის საარჩევნო ოლქში; საქართველოს კომპარტიის გარდაბანის რაიკომის პირველი მდივანი **ოთარ მამიას ძე ბოკერია:** — გარდაბნის რაიონის № 90 მარტყოფის საარჩევნო ოლქში; საქართველოს მატყვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **ელგუჯა დავითის ძე ამაშუკელი** — ქალაქ ბათუმის № 401 გოგებაშვილის საარჩევნო ოლქში; საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი **ჯემალ მიხეილის ძე ნაკაშიძე** — № 138 ადიგენის საარჩევნო ოლქში; საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი **ნოდარ არჩილის ძე ხატაიშვილი** — ლაგოდეხის რაიონის № 215 ბაისუბნის საარჩევნო ოლქში.

(საქინფორმი).

ჯილდოები გადაეცათ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ხალხთა მეგობრობის ორდენები გადასცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებს გ. ს. ჯოფოშვილსა და გ. ა. თვალჭრელიძეს.

მათთან ერთად რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების, სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკთა, მეცნიერთა ჯგუფს გადაეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სსრ ჯანმოფლობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ტრანსპორტი.

ამის შესახებ, თუ რა კეთდება რესპუბლიკაში არჩევნების მომზადებისა და მოწყობის პერიოდში მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის, ილაპარაკეს საქართველოს სსრ ჯანმოფლობის დაცვის მინისტრმა გ. გ. ბერაძემ, ტაბაკინის სახელობის ფაბრიკის ფაბრიკომის თავმჯდომარე ნ. ბ. ბაბაევა, ფოთის ნავსადგურის ფაბრიკომის თავმჯდომარე ა. ბ. ბაბაევა, ბაკურიანის ტურისტული ბაზის ადმინისტრაციის ბაზის მმართველი

კოტე მარჯანიშვილის პრემიის ახალი laureatebi

ცნობილი გახდა კოტე მარჯანიშვილის პრემიის ახალი ლაურეატების სახელები.

საუკეთესო თეატრალური დადგმებისა და როლებისთვის, ხელოვნების დარგში თეორიული შრომებისთვის, რომელნიც განხორციელდა და დაიწერა 1982-1984 წლებში, პრემიები მიენიჭათ: სქართველოს სსრ სახალხო არტისტს გიორგი გეგეჭკორს — შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში სპექტაკლ „რომეო და ჯულიეტაში“ და სქართველოს ტელევიზიაში — სპექტაკლ „დარისანის გასაჭირში“ ბერრუნტაველი როლებისათვის, აგრეთვე კინომსახიობის თეატრში როგორც მეორე რეჟისორს სპექტაკლ „ჩვენი პატარა ქალაქის“ დადგმისათვის. სქართველოს სახალხო არტისტს იური ბარტაკეს — სპექტაკლების „სამანიშვილის დედინაცვალი“ ლენინგრადის გორკის სახელობის დიდ დრამატულ თეატრში და „ჯაყოს ხიზნების“ — მოსკოვის სამხატვრო აკადემიურ თეატრსა და თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში ქორეოგრაფიისათვის.

პრემია მიენიჭა აგრეთვე ცნობილ თეატრმცოდნეს, შოთა რუსთაველის სახელობის სქართველოს თეატრალური ინსტიტუტის პროფესორს დიმიტრი ჯანელიძეს შრომისთვის „ქართული თეატრის ისტორია“, რომელიც გამომეცემლობა „განათლებამ“ გამოუშვა.

● ●

ვულოცავთ გამარჯვებულებს

14 იანვარს — ქართული თეატრის დღეს ცნობილი გახდა 1983-1984 წლების სეზონის საუკეთესო ნამუშევრისათვის კონკურსის „თანამედროვეობა და თეატრი“ გამარჯვებულთა სახელები. ეს კონკურსი გამოაცხადა სქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ.

საუკეთესო დრამატული ნაწარმოებისათვის დაწესებული პრემიის მფლობელი გახდა ზადიან შამანაძე —ავტორი პიესისა „ღია შუშაბანდი“, რომელიც რესპუბლიკის რამდენიმე თეატრში დადგა.

პრემიები საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისათვის მიენჭათ: რობერტ სტურუას — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გია ყანჩელის ოპერის „და არს მუსიკა“ დადგმისათვის, და გულსუნდა სიხარულიძეს — თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში სპექტაკლის „ღია შუშაბანდი“ დადგმისათვის.

როლის საუკეთესო შესრულებისათვის პრემია დაიმსახურეს მედეა ჯაფარიძემ — თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სპექტაკლში „შენსკენ სავალი გზები“ (ანა ბოლეინის როლი) და ბალეტის აკადემიურ თეატრში გია ყანჩელის ოპერის „და არს მუსიკა“ დადგმისათვის, და გულსუნდა სიხარულიძეს — თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში სპექტაკლში „ღია შუშაბანდი“ (ანა ბოლეინის როლი) შესრულებისათვის.

საუკეთესო სცენოგრაფიისათვის პრემიით დაჯილდოდნენ ბალეტს ციცინელი — სპექტაკლის „მზიანური მუსიკოსები“ მხატვრული გაფორმებისათვის თბილისის თოჯინების რუსულ თეატრში და ენები ბარბიშვილი — სპექტაკლის „გიმნაზიოს დინოზაურებს“ სცენოგრაფიისათვის მცხეთის თეატრში.

სეზონის საუკეთესო რეცენზიისათვის კონკურსის გამარჯვებული გახდა ვასილ კიკნაძე „ადამიანის ცხოვრების გაჯერებულობა“, რომელიც გამოქვეყნდა „თეატრალურ მოამბეში“.

დამატებითი პრემიები მიენიჭათ ეუფუნა ჩხეიძისა და გიგა ებრალიძეს — ფოთის ვ. გუნიას სახელობის თეატრის მსახიობებს მრავალი წლის ნაყოფიერი სასცენო მოღვაწეობისათვის.

პრემიები ახალგაზრდა მსახიობის მიერ ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის და ახალგაზრდა თეატრმცოდნის საუკეთესო რეცენზიისათვის არავის არ მინიჭებია. (საქინფორმი).

მეცნიერის ლაბორატორიაში

ბაქტერიები მიკრო-სამყაროდან

იმ დღეს მეცნარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის მიკობაქტერიების ბიოქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელთან მისი ჩემი კოლეგა მილუშე კონჩიკოვა იყო სტუმრად. ხიბყვამ მოიტანა და სტუმრამა გვიამბო:

— საბჭოთა კავშირის და ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიების ხუთწლიანი თანამშრომლობის გეგმა აქვთ შემუშავებული, ჩვენი ინსტიტუტებიც ამ გეგმის შესაბამისად წარმართავენ ერთობლივ მუშაობას. სწორედ ამ მუშაობის პროცესში დავუახლოვდით ჩვენს ქართველ კოლეგებს.

ჩვენი ლაბორატორიაც მიკობაქტერიის მეტაგენეზის პრობლემით არის დაინტერესებული. მას შემდეგ, რაც შევიტყვეთ, რომ ოგივე პრობლემაზე მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფცნარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი დოცენტ გენო დარასელიას ხელმძღვანელობით (ეს ლაბორატორია კი ერთ-ერთი წამყვანია საბჭოთა კავშირში), გადაწყვეტეთ, ერთობლივად წარგვემართა კვლევა-ძიება. მაბარებს, რომ განსაკუთრებული გამომბაურება პოვა დარასელიას ნაშრომმა. მ ხ ე დ ვ ე ლ ო ნ ა ბ ე მაქვს კაროტინოიდები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს კვების მრეწველობისთვის.

ახალგაზრდა მეცნიერს დამსახურებული ავტორიტეტი აქვს საბჭოთა და უცხოელ კოლეგებში.

უკვე თერმეტი წელია, რაც გენო დარასელია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის მიკობაქტერიების მეტაგენეზის პრობლემთ არის დაინტერესებული. მას შემდეგ, რაც შეიტყვეთ, რომ ოგივე პრობლემაზე მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფცნარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი დოცენტ გენო დარასელიას ხელმძღვანელობით, ერთობლივ ნაბიჯებს ვდგამდით ერთ-ერთ ფრონტზე. ეს ფაბრიკა სულ მალე ამუშაედება.

— ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველა ვიტამინი თავის „მოვალეობას“ ასრულებს, — გვიხსნის გ. დარასელია, — მაგრამ საკირო რაოდენობის ვიტამინს ყოველთვის როდის იღებს იგი. ამიტომაც წამოიჭრება ამოცანა: ბუნებრივი თუ არაბუნებრივი გზით მიღებული ნივთიერებებით უზრუნველყაოთ ორგანიზმი ვიტამინებით. არსებობს ორგანული და სინთეზური, ანუ ხელოვნური წესით მიღებული ნივთიერებები, ვიტამინები. მათ შორის დიდი განსხვავებაა. სინთეზური ნივთიერებები მეცნიერული თვალსაზრისით ძნელი მისაღებია და, ბუნებრივია, მათი ეკონომიკური ღირებულება მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ისინი ორგანიზმში მოხვედრისას თავიანთ ფუნქციებს კი ასრულებენ, მაგრამ უფაოყფთი მხარეც აქვთ. ერთიდან მეორე ორგანიზმში გადასვლისას სხვადასხვა ორგანიზმი გროვდებიან და იწვევენ მათს ფუნქციურ მოშლას.

ხოლო, რაც შეეხება ორგანული წარმოშობის ნივთიერებებს, ისინი უკნენელნი არიან ორგანიზმისათვის — ნორმალურად ბალანსირდებიან, აღვილად იშლებიან და გამოდიან გარეთ. ამავე დროს ბუნებრივად დაკომპლექტებული პრეპარატი სასარგებლოობისთვის კაროტინოიდული ექსპერიმენტული ბიოფაბრიკის აშენება. ეს ფაბრიკა სულ მალე ამუშაედება.

— ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველა ვიტამინი თავის „მოვალეობას“ ასრულებს, — გვიხსნის გ. დარასელია, — მაგრამ საკირო რაოდენობის ვიტამინს ყოველთვის როდის იღებს იგი. ამიტომაც წამოიჭრება ამოცანა: ბუნებრივი თუ არაბუნებრივი გზით მიღებული ნივთიერებებით უზრუნველყაოთ ორგანიზმი ვიტამინებით. არსებობს ორგანული და სინთეზური, ანუ ხელოვნური წესით მიღებული ნივთიერებები, ვიტამინები. მათ შორის დიდი განსხვავებაა. სინთეზური ნივთიერებები მეცნიერული თვალსაზრისით ძნელი მისაღებია და, ბუნებრივია, მათი ეკონომიკური ღირებულება მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ისინი ორგანიზმში მოხვედრისას თავიანთ ფუნქციებს კი ასრულებენ, მაგრამ უფაოყფთი მხარეც აქვთ. ერთიდან მეორე ორგანიზმში გადასვლისას სხვადასხვა ორგანიზმი გროვდებიან და იწვევენ მათს ფუნქციურ მოშლას.

ხოლო, რაც შეეხება ორგანული წარმოშობის ნივთიერებებს, ისინი უკნენელნი არიან ორგანიზმისათვის — ნორმალურად ბალანსირდებიან, აღვილად იშლებიან და გამოდიან გარეთ. ამავე დროს ბუნებრივად დაკომპლექტებული პრეპარატი სასარგებლოა და ეკონომიურად რენტაბელური.

ჩვენმა ლაბორატორიამ მიზნად დაისახა ბუნებრივი წარმოშობის ახალი ბაქტერიების ფორმების გამოყენება, რომელნიც დასაბითვლებდნენ „A“, „B“, და „K“ ჯგუფის ვიტამინების, ცილებისა და ცხიმების დიდი რაოდენობით მიღებას. შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ასეთი მაღალეფექტური პრეპარატი მიეიღეთ და წარმოებაში დავნერგეთ. ამ ცალურ-ვიტამინური პრეპარატის გამოყენებით მეფრინველეობის ფაბრიკა სახელმწიფოს დამატებით მისცემს 340 ტონა ნამატ ხორცს, ანუ მილიონი მანეთის შემოსავალს. პრეპარატი შეიძენა კვების მრეწველობაშიც დაინერგოს. დღემდე ამ დარგში, სამწუხაროდ, მხოლოდ უარყოფითი თვისებების მქონე ხელოვნური წესით მიღებული სინთეზური ნივთიერების საცდაკვები არსებობს. იმედი გვაქვს, შესაბამისი ორგანიზაციები დაინტერესდებიან ჩვენი ლაბორატორის მიერ მიღებული ბუნებრივი თვისებების მქონე პრეპარატის საცდაკვებით, რომლებიც პროდუქტს გაამდიდრებენ ვიტამინებით და ამასთან ამცირებენ მის კვებითს ღირებულებას.

— მედიცინაში?

— შეშუშავებულია ახალი, ორიგინალური მეთოდი ამ ჯგუფის მიკრო და მისი. მონათესავე ორგანიზმების დიაგნოსტიკის თვალსაზრისითაც. კერძოდ, ისეთი ბაქტერიებისა, რომლებიც იწვევენ ტუბერკულოზს, კეთრისა და სხვა მსგავს ინფექციურ დაავადებათა საწინააღმდეგო მოქმედებას. პრეპარატმა ანტივირუსული და სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებებიც გამოამჟღავნა...

დიდხანს და გატაცებით. საუბრობდა ახალგაზრდა მეცნიერი. იგი ცდილობდა ზედმიწევნით ეჩვენებინა თვალთაგან უხილავი ცოცხალი არსებების საინტერესო ცხოვრება. ვუსმენდი მის საუბარს და გონებაში ცოცხლდებოდა ლაბორატორიის შთაბეჭდილებათა ალბომში ამოკითხული სტრიქონები, რომლებიც ახალგაზრდა ქართველი სწავლულის მასწავლებელს, პროფესორ იულია ვახნიაკოფსაიას ჩაუწერია: „...ჩემთვის, როგორც ამ სამუშაოს პირველი ნახავრების მომსწრესათვის, განსაკუთრებით სასიამოვნოა ნიშიერი მოსწავლის აღიარება... ეს არის ჩემი, როგორც მეცნიერის ბედნიერება“.

რამ შეიძლება მოგანიჭოს უფრო დიდი კმაყოფილება, ვიდრე იმის შეგნებამ, რომ შენი შრომა, შენი ღვწა და გარჯა ასეთ სიხარულს განაცდევინებს არა მარტო შენ, არამედ შენს მეგობრებსა და მასწავლებლებს, შენს ახლოლებს, საზოგადოდ ადამიანებს...

ი. კალანდარიშვილი.

● ●

სურათზე გენო დარასელია.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო

საქლიე სიხარბესა შენსა!

ჩვენში ათასნაირი გვარია — მშვენიერაძიდან მოყოლებულ ი სამაგალითშვილამდე. თუ კი ადამიანს რაიმე ოვისება ან პროფესია გააჩნია, გვარებად გვაქვს ჩამორგებული და დაფდიკარაძ მაღალმეფლები და გრძელიძეები, მგზედლიშვილები და ჩუბინიშვილები ან მშვენიერ, ღვთის მომადლებულ ქვეყანაზე.

ზოგს ნივთების, ფრინველების, ცხოველების დასახელებ ი დ ა ნ გვაქვს გვარები ნაწარმოები, მაგალითად, ნემსაძე, ქათამაძე, მგელაძე და სხვა, მაგრამ თუ საკუთრების გამომსახველი გვარი არსებობდა, ამას ვერ წარმოვიდგენდი, ჩემი თუ გვარი იყო, არ შეგონა, მაგრამ ფაქი ჯიუტია. პლატონ ჩემი, ჩვენს გვერდითაა, ჩვენ გავზარდეთ და გვინდა თუ არა (ბარემ არ გვინდა, მაგრამ!..) ახლაც არსებობს დღესდღეობით.

პლატონი მეხუთე კლასში იყო, პირველად მის მერხზე მჯდომი ჩინა. ამაში სიძუნწემ და სიხარბემ შეასრულა ოაკინი როლეი, ასე ამბობენ მეზობლები, პლატონის გულისსაგები არავინ იცოდა, ერთი ცხადია, შვილს ნატრობდა, მაგრამ პლატონი ლუარსაში არავინ აუროის, იმ კუჭის მონა ლუარსაბმა ძმას რომ ღმერთთან უჩივლა, ყურძენს კურთხევამდე სტამსო, გადაგდებულ ბუჩს არ აიღებს და არ აკოცებსო, სხვა ვერაფერი მოიფიქრა. პლატონმა რომ ძმას უჩივლა, ათი წლით გადაკარგა. მარტო რაც მისი დაწერილი, „ანონიმკური“ რევიზია ჩატარებულა, კომისია შემდგარა და აღწერა მოუხდენიათ, ვინ მოთვლიდა.

ჯიბე, ოღონდ თავისი არ ყოფილიყო, და გინდა სხვისი, გინდა სახელმწიფოსი, ხელის საფაფურებლად ეთვისებოდა. არავის ეკითხოს პლატონი მარტო წართმევითა და სასამართლოთი იმკვიდრებდა ქონებას. რაც სხვას ვერ წაგეპ, რაზე არ უფიქრია პლატონს, მაგრამ სამართლის ქმნაზე და სიკეთეზე — არა... არ იკარებდა ამნაირ ფიქრს — ცუდად ხდიდა!

„ქვეყანა რომ დაიქცეს, სამართალი უნდა შესდგესო“, ამაში შეუვალ კანონს გულისხმობდნენ რომ მოელები, თორემ ქვეყანა თუ დაიქცა, სამართალი ვის რად უნდა, სამართალი—ხალხის სამსახურია!

კარგად მახსოვს, ერთ ხანს ჩვენში კანონიც კი შემოვიღეთ „არაშრომით შეძენილი ქონების შესახებ“, ალარ ვიცი, რა ბეღი ეწია ამ კანონს, რადგან არაშრომით შეძენილი ქონება ოგივეა, რაც ქურდობით შეძენილი, ქურდობა კი ყველა დროში ისჯებოდა და ისჯება.

ძნელი სათქმელია, საიდან იცოდა პლატონმა რომ:

აფრიდატე სიფვარულის ქალღმერთია,

პანაკეა — განკურნებისა,

ვაკუნა —მოსავლიანობისა.

მაგრამ იცოდა და ხანდახან ჩამოთვლიდა კიდეც, თითს მაღლა, ღმერთებისკენ შემართავდა და იტყოდა:

— ფულის ღმერთი არ არსებობს, ფული თვითონ ღმერთიაო, —და თვალს გადაავლებდა ნაქურდალსა და ძარეცა-გლეჯილ ნაშოვნს.

...ზენდახედული კაცი იყო პლატონი, ამიტომ ყველას გაუკვირდა, — მოკვდა და სასაფლაო არ ჰქონდა წინასწარ გაკეთებული, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ადგილიც კი არ ჰქონდა წინასწარ შერჩეული! თვითონ არ ჰქონდა ამდენი ოოდნა და არც არავის გაუფიოლია — „შემენტო მორი“, რაც ჩვენებურად, ნიშნავს „გახსოვდეს სიკვდილი!“. თორემ, რა უნდოდა, ერთ კარგად გაწყობილ სასაფლაოს ან სხვას წაარმეკდა ან იყიდდა, ბოლოს და ბოლოს!

ისე კი, მართლა, უცნაურად მოხდა ყველაფერი, პლატონმა ერთი სულწაწყმენდილი ხუეკესის ‘დასმარეფთან შეიძინა ის ეიმეიმის ბროლის ჭალი, და დაკეფა კიდეც თავის ოთახში. ერთ მშვენიერ დღეს, (ასე ითქმის, თორემ მშვენიერი არ უნდა ერქვას ასეთ დღეს!) ვერ დაიჭირა საყდრის დიდი ჭალი ჭერმა, მოწყდა და პლატონს თავზე დაეცა!

ომთანგან, ვინც პლატონ ჩემიას ფაკრძალვაზე ბრძანდებოდა, ბევრი საგონებელში ჩავარდა, პლატონ ჩემიას საფლავი ვიწრო გაუჭრიათ და მოყლეს. ასეთი შემოხვევა არაფის ენახა და ზოგიერთი შეშინდა კიდეც, ხომ არაფერს ნიშნავსო?! მაგრამ შიშმა მაღლე გაიარა და ყველაფერი კარგად დამთავრდა.

* * *

პლატონის მეუღლეს არ გასჭირვებია მესამედ გათხოვება. ამბობენ, აგარაფინ პლატონის სიცოცხლეშივე მეგობრობდაო ახალგაზდელ მეუღლესთან, იმასაც ამბობენ, რომ უმანგი ათი წლითი უმეფოსია ქვრივზე, დ, მგონი, აქვე ანგარიშიაო, მაგრამ, მოდით, ნუ ავყვებით მოთქმა-მოთქმას. ასე რომ გაგყვეთ, ვინ იცის, სად მიგვიყვანს კაცის ენა...,

რეზო დვალიშვილი.



კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თერმეტეფე სამკითხველო დარბაზში ყოველდღიურად 2000-მდე მკითხველი მოდის. აქ განსაკუთრებული ხალხმრავლობაა სტუდენტთა სესიების დროს.

სურათებზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ეანა მუსეიშვილი; სამკითხველო დარბაზში.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

„კომუნისტის“ რეიდი



ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკურ განვითარებაში ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს ავტოტრანსპორტს. ეს მართულ მუშაობასაც. წარმატებანი უეჭველად უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ზოგიერთი ავტომეურნეობაში სეროიზული ნაკლოვანებანი რომ არ იყოს. ამჯერად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ავტოსატრანსპორტო საწარმოების სასპიდომეტრო მეურნეობაში არსებულ ხარვეზებზე. მოვიყვანთ რამდენიმე საგულისხმო მაგალითს იმის შესახებ, თუ რა უმსგავსო ვითარება იქმნება ხშირად, როცა ავტოსატრანსპორტო საწარმოებში მოსისუფლე შრომის დისციპლინა, ხელმძღვანელთა მომთხოვნელობა და კონტროლი ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებისადმი. ამის ნათელსაყოფად უმჯობესია კონკრეტულ ფაქტებს მივმართოთ.

საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურთან კვირა დღეებში გაცხოველებული ბაზრობა იმართება ხოლმე. ერთმანეთში ირეკა ხალხი, საკონსულ-ფრინველეთ და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით დატვირთული მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები. სწორედ აქ, კვირა დღეს, სისხამ დილით ბაზარში მძღოლ ო. ასანიშვილს საგარეჯოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს კუთვნილი „გაზ-51“ მარკის ავტომანქანით (№13-39 გაე) ორი ძროხა ჰყავდა მოყვანილი. მძღოლს სპეციალი ბარ აღმოაჩინა, მხოლოდ ორი შეუფსებელი ბეტედადამელი საგზაფოს ფურცელი ჰქონდა. ალბათ, შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა დაინტერესდება, როგორ აღმოჩნდა მათი კუთვნილი ავტომანქანა ბადიაურის ბაზარზე და ვინ „დაასაჩუქრა“ მძღოლი მეუფსებელი საგზაფოს ფურცლებით?

ბაზრის ტერიტორიაზე იდგა უდაბნო მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის კუთვნილი „კამაზ-5320“ მარკის ავტომანქანა (№ 16-72 გაო). მძღოლმა ი. თალიბოვმა ვერ აუხსნა რეიდის მონაწილეებს ის ყოფნის მიზეზი, არც საგზაფოს ფურცელი იყო სათანადო აღნიშნული.

აქვე იყო საქნათგეოფიზიკის ტრესტის კუთვნილი სატვირთო ავტომანქანა (37-02 გამ). მძღოლმა ა. ფაშაევმა გაიკვირვა, ავტომანქანაზე სპიდომეტრი რომ არ მუშაობდა...

სპიდომეტერი არ იყო დაპლომბილი საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის კოლმეურნეობის კუთვნილ ავტომანქანაზე (01-33 გაკ), რომელიც მძღოლმა გ. მასურაშვილმა საგზაფოს ფურცლის გარეშე კარი ბირის ცხვრები მოიყვანა, ხოლო მანვის მეეკნახეობის საბჭოთა მეურნეობის „ზილ-130“ მარკის ავტომანქანით (60-33 გგს) მძღოლმა თ. ხაბასურიძემ კერძო პირის ინდაურები მოზიდა. მის საგზაფოს ფურცელში არ იყო აღნიშნული სპიდომეტრის ჩვენება. პირადი გამორჩენის მიზნით იყენებდა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ფონიკეთის სპეცტრესტის ავტოსატრანსპორტო საწარმოს კუთვნილ „კამაზ-5511“ მარკის სატვირთო ავტომანქანას (15-72 გაო) მძღოლი გამბაროვი დურსუნ მაზმუდ-ოღლი, თორემ ამხელა ავტომანქანას ბაზარში არ მოაგროვებდა. სპიდომეტრის ჩვენება საგზურში აღნიშნულსარ ემთხვეოდა, მძღოლის მოწმობაც გადამალა.

ყანდაურის კოლმეურნეობის კუთვნილი „მაზ-555“ მარკის სატვირთო ავტომანქანა მაზავრების გადაყვანისათვის სათანადოდ არ იყო მოწყობილი, მაგრამ მასზე გაპაროვნებულ მძღოლს, გ. ჩოკოშვილს, ეტყობა, ეს სრულიადაც არ ანაღვლებდა — ავტომანქანის ძარაზე სამი მაზავრი იდგა, ხოლო კაბინაში ხუთი ადამიანი იჯდა, მათ შორის სამი ბავშვი.

არც საგარეჯოს რაიონის ლამბალოს საბჭოთა მეურნეობის მძღოლმა ეიმოვ ალაფოროოლიმ გაანდო ვისმეს თვითნებური რეისის შინაარსი (ავტომანქანა „ზილ-130“, № 76-06 კაბ), წარმოდგენილ საგზაფოს ფურცელში არ იყო აღნიშნული სპიდომეტრის ჩვენება.

სახელმწიფო ავტოინსპექციის ჩალაუბნის საგუშაგოზე გაჩერეს გურჯაანის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს „ეიაზ 6623“ მარკის ავტომანქანა, რომლითაც მძღოლ დ. სვიმონიშვილს შინაური ფრინველი გადაეკვეადა. ოკაბში მიმაქეს, წვეულება მაქვსო, განაცხადა მძღოლმა, რეიდის მონაწილენი მის გულწრფელობაში იმან დაიჯერა, რომ იდაურები და ქათმები იმდენი იყო, ერთს კი არა, ალბათ ათ წვეულებას გაწყვეტდოდა. ავტომანქანის სპიდომეტრიც არ მუშაობდა.

„მაზ-45021“ მარკის ავტომანქანა (№61-30გაპ) გურჯაანის რაიონის დამზმარე საწარმოების სამეურნეობათამორისო გაერთიანების ეკუთვნის. მძღოლმა ავტოინსპექციის მუშაკებს წარუდგინა საგზურის ფურცელი, რომელშიც არ ყოფილა აღნიშნული სპიდომეტრის ჩვენება, საწვავის მიღება, აკლდა მექანიკოსის ხელმოწერა და სპიდომეტრიც დაუფუძავი იყო.

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამირკავკასიის გ ა ნ ყოფილების კუთვნილი ავტომანქანის („რაფ-220“ №11-02 გაშ) მძღოლს რ. ზაფირიშვილს ძველი გაცემული № 49 საგზაფოს ფურცელი აღმოაჩნდა, რომელიც, ცხადია, სულ სხვა რეისს ითვალისწინებდა. მან გულისწყლრომა გამოხატა ავტოინსპექციის მუშაკების მიმართ, როცა მას მიუთითეს მარშრუტს გადაუხვევო.

ყველა ეს ფაქტი გამოვლინდა მხოლოდ რამდენიმე საათის განმავლობაში, რაც, რასაკვირველია, იმაზე მეტყველებს, რომ ანალოგიური დარღვევები გაცილებით მეტია. ყოველგვარ კონტროლს მოკლებული მძღოლები თავის ნება-სურვილით დაიქროლებენ ავტომანქანებს. საინტერესოა, რით იმართლებენ თავს იმ ავტოსატრანსპორტო საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომელთა უგებელი საქმიანობა დანაშაულს უწყობს ხელს. როგორც ფაქტები მოწმობს, მთელ რიგ ავტოსატრანსპორტო საწარმოებში ნაკლებად ზრუნავენ სახალხო მეურნეობაში სატანასპორტო საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისას წამატებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და საწვავ-სასპონ მასალების შენახვის უზრუნველყოფის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნათა შესრულებისთვის.

სახელმწიფო ავტომანქანები და პირადი რეისები



ეროვნული სიდნალი

რაიონის კარიბჭესთან აღიმართა ქნნგურებიანი ბურჯი, რომელსაც ბრინჯაოს ლომი და მისი ორი ბოკვერი ამშვენებს. იქვე წყარო, ქვევრები, აკვანი, რომლებიც ეროვნულ კოლორიტს ქმნიან. თიხის ფიალებზე ამოიკვეთაგან ინ ადამიანთა სახელებს, რომლებმაც ამ კუთხეს, ამ რაიონს სახელი გაუთქვეს.

სიღნაღისა და ნუკრიანისაკენ მიმავალი გზის გასაყარზე სამი მოსაცდელი ფარდული აშენდა, იქვე კვარცხლბეკი კახელი გლეხკაცის მამამაპაური ურემი და პირველი ტრაქტორი, რომელიც აქ პირველი კელი გაავლო.

ბოდბისხევი კაცის ოცნება იყო უმოკლესი გზით დაკავშირებოდა სიღნაღს. ეს ოცნება მათ შარშან, 1984 წელს აუხდათ. გზა მთლიანად მოპირკეთებული და მოსაფლეტებულია.

სოფელ ყარაღაჯში ქვემო მაჩხანის კოლმეურნეობის ტერატორიაზე აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 200 სულისათვის განკუთვნილი ტიპური ბოსელი, სადაც შრომატევადი სამუშაოები მთლიანად მექანიზებულია.

სოფელ ვაქირში გაიხსნა გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმი. იმავე წელს, იმავე სოფელში ახალგაზრდობამ ძეირფასი სანუკვარი—საშუალო სკოლის ახალი შენობა მიიღო, რომელიც 555 მოსწავლისათვის არის გათვალისწინებული.

სიღნაღი ძველებური ქართული იერი მიეცა მრავალ საცხოვრებელ სახლს, თაღოვან სარდაფებსა და დუქნებს, სადაც გაიხსნება კაფე, სარაიეები, მაღაკაცისა და ქალის სალონები და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებანი. რეკონსტრუქრებულია საკოლმეურნეო ბაზარი.

ვლ. მჯედლიშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ყაბალი

სატურნირო ორბიტა

ბაღდანი. გუშინ მოსკოვში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონობაზე ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მატჩის 41-ე პარტია. შეხვედრა 41-ე სვლაზე გადაიდო.

დიდი ბრიტანეთის ქალაქ ჰასტინგსში დამთავრებულ მოჭადრაკეთა ტურადეცეულ საახალწლო შეჯიბრებაზე პირველობა მოიპოვა ჩელიაბინსკელმა დიდოსტატმა ე. სვეშნიკოვმა. მან 9 ქულა დააგროვა (7 პარტია მოიგო და 4 ყაიმით დაამთავრა).

ფუალუანი. თბილისსა და ბაკოში დამთავრდა საკადეთრო ჩემპიონატის პირველი წრის მეოთხე ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: **თბილისი.** თბილისის „დინამო“-მოსკოვის უნივერსიტეტი — 6:9, ხარკოვი „ლოკომოტივი“-კიევის „დინამო“ — 6:4; მოსკოვის „მოსკვიჩი“-ტაშკენტის „შეხტატი“ — 14:5; **ბაკო.** ალმა-ათის „დინამო“-სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტსლუნი — 11:6, კასპის წითელდროშოვანი ფლოტილის გუნდი (ბაკო)-ლენინგრადი, „ბალტიკა“ — 13:10, მოსკოვის „დინამო“-ლვოვის „დინამო“ — 11:7. გუნდებმა პირველი წრის 8-8 მატჩი გამართეს და ახლა ისინი გათამაშების ცხრილში ასე არიან გასწაგებულნი: მოსკოვის „დინამო“ — 15 ქულა, ალმა-ათის „დინამო“ — 12, უნივერსიტეტი, თბილისის „დინამო“ და „მოსკვიჩი“ — 10-10, ცენტრალური სპორტკლუნი — 9, კიევის „დინამო“ — 8, ბაკოელთა გუნდი — 7, „ლოკომოტივი“ — 6, „ბალტიკა“ — 5, ლვოვის „დინამო“ —4, „მეხტატი“ —0.

ფიგურული ციგურაობა. დნეპროპეტროვსკში დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატზე ქალთა შორის პირველობა მოიპოვა ა. კონდრაშოვამ, ვიეტნამი უძლიერესი იყო ვ. კოტინი, მეორეადგილი ასპარეზობები კი ყველას აჯობეს მ. კლიმოვამ და ს. პონომარენკომ. აღსანიშნავია ისიც, რომ გამარჯვებულნი მოსკოვის სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან.

ბილბლონი. მინსკის მახლობლად რაუბიჩის სპორტკომპლექსში დამთავრდა ვოფთა შორის მსოფლიო თასის გათამაშების პირველი ეტაპი. აქ 10 კილომეტრზე სპრინტერულ რბენაში გაიმარჯვა ი. კაშკაროვმა (სსრ კავშირი), ხოლო ესტაფეტაში (7,5 კმ X 4) უძლიერესი იყო სსრ კავშირის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პ. მილორადოვი, ა. ზალნა, ი. კაშკაროვი და ს. ბულგანინი.

ციგურაჭიერ ჭრაკეტენა. შვეიცარიის ქალაქ დავოსში გამართულ შეჯიბრებაზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა ა. ბოფშანმა (გდრ), რომელმაც 3000-მეტრიანი დისტანცია 4 წუთსა და 3,31 წამში დაფარა. 500 მეტრზე უძლიერესი იყო მოსკოველი ფ. ბოგიევი — 38,17 წამი.

რედაქტორი

ბ. ბჟდლიანიშვილი.

საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის ღრმა ჭუბარების ოუჭყება, რომ გარდაიცვალა 1929 წლიდან პარტიის წევრი, ყოფილი კიროვის რაიონის პირველი მდივანი

კონსტანტინე ამბროსის ძე ხოშტარია

და სამძიმარს უცხადებს ბანსვენებულის ოჯახს.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

15 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ეროვნული“. 9.35 — მხატვრული ფილმი „ალიონის ბატალიონი“. 11.05 — ნორჩთა შემოქმედება. 11.35 — მხატვრული ტელეფილმი „ანის შესახებ ვდუმდით“. მე-4 სერია. 12.30 და 15.30 — ახალი ამბები, 15.50 — დოკუმენტური ფილმი. 16.40 — კონცერტი. 17.05 — ბავშვებს — მხეცების შესახებ. 17.35 — ახალი ამბები. 17.40 — მხიარული ტალღაზე. 17.55 — მწერალი და თანამედროვეობა. ე. ნოსოვი. 19.15 — კონცერტი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ადამიანი და კანონი. 20.35 — მხატვრული ტელეფილმი „ანის შესახებ ვდუმდით“. მე-5 სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ჰოკეი. ცსკა — „სპარტაკი“. 00.20 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელ